ტფილისი


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. თ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხოლოზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

წვრილი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირო[illegible] მოითხოვს, რედაქცია [illegible] და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.


რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო დღევანდელი ნომრისათვის დანიშნული ფელტონი («ელგუჯა») არ იბეჭდება და ამის გამო იძულებული ვართ დღეის ნომერი მხოლოდ ნახევარ ფურცლად გამოუშვათ.


არწრუნის თეატრში

კვირას, 8 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ალმზრდელები**

კომედ. 2 მოქმედ. ა. მოჩხუბაოიძისა.

II

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები დაკლებულია.

სახაფხულო თეატრში

ოთხშაბათს, 11 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

მეორე აბონემენტის რიცხვში

**მომაკვდავნი**

კომედია 4 მოქმედებად

თხზ. თ. გიორ. მიხ. შარვაშიძისა.

ფასები ჩვეულებრივი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7 1/2 საათზე.


## ტელეგრამმა

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 5 ნოემბერს. გაზ. „რუსის ინვალიდში" ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ სამხედრო სამსახურის ვადის გადიდება ტყუილია.

„პოლიტიკა" იწერება: 4 ნოემბერს ექსპერტებმა გარდასწყვიტეს, რომ საერო კრებათა და სამოქალაქო რჩევის ხმოსნებს და აგრეთვე იმ წოდების პირთ, რომელთაც რაიმე მონაწილეობა მიიღეს სასმელების გარჩევაში და ამ საქმეზედ თვალ-ყურის დევნაში, აეკრძალებათ თითონ გახსნან სამიკიტნოები.

3-ს ნოემბერს მოსკოვის უნივერსიტეტს მიუვიდა მოწერილობა, მოსპოს კატკოვზე საჩივარი.

**პეტერბურღის ბირჟა**, 30 ნოემბ.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემისა | 95— | „ |
| მეორესი | 92— | „ |
| მესამესი | 93— | 50 |
| მეოთხესი | 91— | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90— | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90— | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 89— | 87 1/2 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7— | 65 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 220— | 5 |
| მეორე სესხის | 215— | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 25—81 | პენსი |
| ბერლინი | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი | 220—62 | ცენტი |
| პარიჟი | 272—37 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — — | |

## ახალი ამბები.

ხვალიდამ დაწყებული ჩვენი დრამმატიული თეატრის დასსი მუდამ კვირაობით გამართავს წარმოდგენებს არწრუნის თეატრშიაც, ასე რომ ოთხშაბათობით ქართული წარმოდგენები საზაფხულო თეატრში იქნება აბონემენტისათვის და კვირაობით არწრუნის თეატრში.

ამ კვირის წარმოდგენებს, როგორც გვითხრეს, ის დანიშნულება აქვს, რომ ღარიბებსაც მიეცესთ საშუალება ქართულ თეატრში სიარულისა და ამ განზრახვით ადგილების ფასი არწრუნის თეატრში დაკლებული იქნება.

*
* *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხვალ, კვირას, მთავარ-მმართებლის ბაღი გაღებული იქნება და დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ სამხედრო მუზიკის ხორო დაუკრავს. შესვლის ფასი დიდებისათვის სამი შაური და მცირე წლოვანებისათვის ორი შაური. შემოსავალი დანიშნულია თფილისის ქველ-მოქმედ საზოგადოებისათვის.

*
* *

ფოთელი კორრესპონდენტი გაზ. „შრომისა" იწერება, რომ ყველასაგან პატივცემულ ადგილობრივ მღვდელს მ. ზრ. მაჭაროვს უკისრნია იქაურ საქალებო სკოლისათვის ხელის-მოწერით ფულის მოგროვება, ორი-სამი დღის განმავლობაში ხუთას მანეთამდის შეუკრებია.

*
* *

ახალციხის მაზრის სოფ. ხიზაბავრიდამ გვწერენ:

„ამას წინად ჩინოვნიკი ბ ა. ბერიძე იყო ფილოქსერის თაობაზედ მოსული; თან ჰქონდა ნახატები ქაღალდზედა. ჩავიდა ვენახებში და ეძია შემხმარი ვაზები; მაგრამ ვერსად ვერ ნახა. იკითხა: რამდენი რიგი ყურძენიც იყო გაშენებული ხიზაბავრის ვენახებში და ათიოდე გვარისა მოუთვალეს: ანდრიული, ვექანა, კლერტ-მაგარი, ცვრივი, ბუდეშური, თითა, ცხენის-ძუძუ, ხარისთვალა, საფერავი, არიჭული... წელსაც სიცივეების გამო ადრე მოუხდათ ყურძნის მოკრება, კარგად ესხა, მაგრამ სიმწიფე დააკლდა. შესანახი ყურძნები ერთ კვირაზედ წახდა, აღარ ივარგა სიცივეების მიზეზითა. წელსაც მჟავე ღვინოები დაუდგათ."

*
* *

ახალ-ქალაქის მაზრიდამ გვატყობინებენ:

„ნელ-ნელა საქონლის ჭირი მუშაობს. აგრეთვე მჭლეები მკერდისა და გვრემა ადამიანთ არ აკლიათ, სისხლის გაშვება ჰშველის. ზოგიერთი კიდევაც იმსხვერპლა. ზავლილ კვირას სიცივეებში ყვავილის ამცრელი მოსულიყო. სულ ასრე უდროუდროდ მოდის, იღებს ფულებს მამასახლისისაგან და ნაცვლისაგან და მიდის. დავიბარე, მაგრამ არ მოვიდა. ურიგო არ იქნება, ყვავილის ამცრელები როცა მიდიან სოფლებში, ადგილობრივ მღვდელს მიჰმართონ და მისგან სცნონ რიცხვი ასაცრელ ჩჩვილთა. ისინი მიდიან გაუგებელ მამასახლის-ნაცვლებთან და ისინიც მალე თავიდგან მოცილებით გზას აყენებენ; შემდგომ აუცრელობით რამდენი დედ-მამა ტირდება და რამდენი კვამლი ჰქრება, დიდად კი ენაღვლებათ ჩვენს თეეზ-ქრთამებ ყლაპა მამასახლის-ნაცვალებსა!"

*
* *

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი წერილის დაბეჭდვას გაზეთში:

„ნათქვამია „ჩემი ურგები წყალმა წაიღოსო". ამ სიტყვებმა მამაგონა ქართლის სამღვდელოების მოქმედება და ამიტომაც ვბედავ, ბ. რედაქტორო, გთხოვო, რომ მისცეთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში. ეს ჩემი შენიშვნა რომ არ გაჭიანურდეს და თავი არ შეგაწყინოთ, ამიტომაც მოკლედ მოგახსენებთ საქმეს.

„როგორც მოგეხსენებათ წასრულ წელში ორჯელ მოხდა მღვდლების კრება სასულიერო და საეპარხიო ქალების სასწავლებლების შესახებ.

„ერთ ამ კრებაზე სულიერ მამების წარმომადგენელების შემწეობით (მამა სემინარიის წევრების) შეტანილ იქმნა წინადადება სემინარიის გამგეობაში რომ „იმერელი მოსწავლენი, რომელნიც არიან მიღებული საქართველოს საეკკლესიო ხარჯ,ზედ თფ. სასულიერო სემინარიაში, დაითხოვონ, რადგანაც ხარჯი ქართლის და კახეთის სამღვდელოებისაგან გროვდება და ამ ფულით იმერლები რად იზდებიანო. ახალ ჩამოსული ყმაწვილები იმერეთიდამ აღარ მიიღოთ ჩვენს ხარჯზედო".

„ეს წინადადები დიდის კმაყოფილებით შეწყნარებული იქმნა. შეიქმნა ერთი ალიაქოთი სემინარიაში საწყალი იმერელი შაგირდებისა: რამოდენიმე უბრალო ბრალიანი გაასწორეს და სახელმწიფო ხარჯიდგან დაითხოვეს; ახლებს თვალითაც არ შეახედვინეს სემინარიის პანსიონში. ზოგიერთი ყმაწვილები, შეუძლებლობისა გამო, იძულებული იქმნენ თავი დაენებებინათ სწავლისათვის და თვალ ცრემლიანი იმერეთისკენ წავიდნენ.

„იქნება ვინმემ მკითხოს, ამისთანა ქველ-მოქმედების მიზეზი დიდი მოფიქრება აქ საჭირო არ არის; რადგანაც იმერლები პორტოხ გადაღმა ცხოვრებენ და ჩქარის ლაპარაკით განირჩევიან კახ-ქართლელებისგან, ამიტომაც უსათუოდ სულ სხვა ტომისა არიანო და ამათი აღზრდა რა ჩვენი საქმეაო...

„რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ სულიერ მამებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს! იმათი შვილები ყველა მიიღეს სემინარიაში და თუ მიიღება ყველანი სახელმწიფო ხარჯზედ არიან მიღებულნი?-ბევრი არც ისე და არც ასე. ის მოახდინეს მარტო, რომ იმერლებს გზა შეუკრეს და სხვებს, რომლებიც მათი „ეზოსი" იყვნენ, გზა გაუხსნეს და ორის მაგივრად ბარე რვამდინ მიაღებინეს...."

*
* *

გუშინდელ ნომერში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ გაზ. „კავკაზი" ხუთის წლის ვადით გარდასცეს თ. დავ. გ. ერისთავსო. ხუთის წლით კი არა, სამის წლით გარდაუციათ.

## ნიკ. ბარათაშვილის დაბადებაზე.

ამას წინედ ერთ „დროების" ნომერში იყო დაბეჭდილი კონსტანტინე მამაცაშვილის შენიშვნა შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილის წლოვანებისა. ელისავეტოპოლში უნახავთ საფლავის ქვა, რომელზედაც სწერია: „აქა მდებარებს გვამი ქართველი თავადისა, გუბერნსკი სეკრეტარის, ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილისა, ოცდა-ცხრა წლისა, უდროოდ გარდაცვალებულისა ცხრა ოქტომბერს ათას რვაას ორმოც-და-ხუთსა წელსა".

მთავარ სამმართველოს არხივაში მე ვიპოვე ერთი „საქმე“, (Дѣло Главнаго управленія за 1830 годъ, № 1154), რომელშიაც ნაჩვენებია, რომ ათას რვაას ოც-და-ათში ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი იყო თორმეტის წლისა, ესე იგი დაიბადა 1818 წელსა. მაშასადამე ნ. ბარათაშვილი გარდაცვლილა ოც-და-შვიდის წლისა და არა ოც-და-ცხრისა.

ამ შემთხვევაში, ვგონებ, ჩემმიერ ნახულ დოკუმენტს უფრო დაეჯერება, ვიდრე იმ ქვას, რომელიც დაადევეს ჩვენის მშვენიერის პოეტის გაყინულ გულს.

გლ. მიქელაძე.

## წერილი რედაქტორთან.

ამას წინედ თქვენს პატივცემულს გაზეთში წავიკითხე განსჯა ქავთისხევის სასოფლო დეპოს გაუქმებაზედ. ამავე სტატიაში არის მოხსენებული, რომ ვითომ ისმოდა ხმა რუისის დეპოს უვარგისობაზედაცა. გასაკვირველია, რომ ამისთანა ხმა იყო რუისის დეპოზედ, სადაც აქამდისინ (რუისში) დეპო არ გახსნილა; ჯერ პროექტიც არ არის ამაზედ შემდგარი, თუმცა სოფელს სურს შემდეგში გახსნას დეპო*).

რუისელი.

4 ნოემბერს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ახალი თავს-მჯდომარე საფრანგეთის დეპუტატთა პალატისა, ანრი ბრისონი ერთი ღირსეული კაცია რესპუბლიკელთა პარტიაში. წმიდა დემოკრატიულ თავმდაბლობით და საზოგადოდ თავის ხასიათებით ის უმეტესად წააგავს რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟულ გრევის, ვინემ გამბეტას. როგორც ამბობენ, იუსტიციის მინისტრობას, რომელზედაც გამბეტამ წარადგინა ბრისონი, ეხლანდელი თანამდებობა არჩია მან, ე. ი. დეპუტატთა პალატის თავს-მჯდომარეობა.

„შეურიგებელნი“ დიდს უკმაყოფილებას უცხადებენ პალატს სამინისტროზედ გულ-გრილად ყურებისათვის ტუნისის საქმეების შესახებ. მაგრამ მიზეზი ამ უკმაყოფილებისა ჯერ-ჯერობით ვერავინ დაანახა პალატს.

**პრუსია.** გაზ. „*Post*“-ში დაბეჭდილია სტატია, რომელშიაც მოყვანილია თ. ბისმარკის ვითომ სურვილი ოც-და-ათი წლის მძიმე სამსახურის შემდეგ შესვენებისა. აქვე მოყვანილია მოსაზრება, პარლამენტალური წყობილების შემოღების გამო, რომ მმართველთ. ბისმარკის შემდეგ გერმანიის პოლიტიკისა უნდა ჰხვდეს პირს, რომელიც უმეტესად დაიმსახურებს საზოგადოების თანაგრძნობას და სიყვარულს ახლად შემდგარ რეიხსტაგში. თ. ბისმარკი გრძნობს, რომ მას აღარ ძალუძს ნემეცებში ჩამოაგდოს ერთობა, რასაც ის ემსახურებოდა თავის სიცოცხლეში უმეტეს ნაწილად. ის, რასაკვირველია, სამსახურის თავის დანებებას არც კი გაიფიქრებდა, რომ ერთი ათი წლით უმცროსი იყვეს და უმეტესობა თანაუგრძნობდეს მას. მხოლოდ შთამომავლობა დააფასებს, ამბობს გაზ „*Post*“-ი, ბისმარკის შრომას მეგობრული კავშირი ავსტრიასთან და რუსეთთან მისი მოხერხებითაა.

თ. ბისმარკის სამსახურიდამ გამოსვლაზე გაზ. „*Times*“-იც ამბობს, რომ მას ისეთი ვალი აწევს თავზედაო, ის არის არა თუ პირველი პირი გერმანიაშიო, არამედ ისეთი პირიც, რომელსაც მთელის რწმუნებით მიენდობა გერმანია და ამ გვარი პირის სამსახურიდამ გამოსვლას დიდი გავლენა ექნება გერმანიის შინაგან და გარეგან პოლიტიკაზეო. თავის სურვილით არ უნდა დაითხოვოს ამ გვარი პირი სამსახურიდამაო. ერთს ბისმარკს შეუძლია თავის ჭკუით, გამჭრიახობით და უფლებით, რომ მუდამ მომხრეებათ იყოლიოს იტალია და ავსტრია, სიმშვიდეში ჰყავდეს რუსეთი და რამე სარგებლობა გამოიტანოს ხოლმე საფრანგეთის მცირე შეცდომიდანაცა.

**ოსმალეთი.** გაზ. „*Times*“-ში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ოსმალეთის მმართებლობამ დაუგზავნა ევროპის სახელმწიფოებს ცირკულიარი, რომელშიაც მას მოჰყავს თავის საჩივარი ბოლგარიის მმართებლობაზედ. საჩივარი მდგომარეობს იმაში, რომ ბოლგარია არ ასრულებს არაფერს იმას, რაც ვალად დაუდვა მას ბერლინის კონგრესმა. სხვათა შორის საჩივარში ისეც არის მოყვანილი, რომ ბოლგარიელებმა მუსულმანების სარწმუნოებასაც შეურაცხყოფა მიაყენესო, მეჩეთი კაზარმად ვახადეს თ. ვიდინშიო.

*) ხსენებულ წინა სტატიაში, მართალია, შეცდომით იყო მოხსენებული რუისის დეპო; დეპოს მაგიერ, რუისისვე გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა უნდა ყოფილიყო ნათქვამი. რედ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში
გადმოვიდა ცენტრალური
## სასტუმრო,
რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, ვარანცოვის მეგლის პირ-და-პირ, ლიხათაინსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე
(15—10) ლევან ოლახერაშვილი.

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევხი, 8 კ. 40-მდის -ასი.

10,000 შანდალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად.

ინგლისის მაღაზიაში.
(40—4)

# ჰქირავდება

სახლი ოთხი წმინდა ოთახით, სამზარეულოთი და სარდაფით, ოქრომჭედლების ქუჩაში, სახლი № 16, ფასი იკითხეთ იქვე. (3—2)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.
(100—35)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი